

შეგვრები სხვა და სხვა დაწესებულ ბებში.

ყუბანის რადის წევრები, მაკარენკო, ბეზკროვნი და გონჩაროვი, რომლებიც გენერალ პოკროვსკის ბრძანებით უნდა დაეტყველებინათ, დაიმაღლენ.

გენ. ვრანგელის ბრძანებით შეიპყრეს ყუბანის რადის წევრები: პოლკ. ფასკოვი, ბალაბასი, პოდტოპოლნი, ეუკი და პოლკოვნიკ განჩაროვი. შეპყრობილები სამხედროსაველე სასამართლოს გადასცეს.

ეკატერინოდარში შეიპყრეს მოკლული რიაბოვოლას ძმები პეტრე და პავლე.

მაკარენკოს და ომჩენკოს სამხედროსაველე სასამართლომ ეკატერინოდარში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

ხალის მომხარულის საპურადლაგოდ.

გაზ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია და კანტორა აცნობებს ხელის მომწერლებს; რადგან გაზეთის გამოცემა დიდ ხარჯებს მოითხოვს და რედაქცია ამ მხრივ არ არის უზრუნველყოფილი, იგი იძულებული იქნება გაზეთის გზავნა შეწყვიტოს იმ პირთ, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში არ გაასწორებენ ანგარიშებს.

ახალი ამბავი. ქუთაისი.

კრება. სურსათის შეძენის საკითხის მოსაგვარებლად დღეს, 29 ნოემბერს დანიშნულია გვარდიის, ჯარის, ერობის ციხის, კოპერატივთა კავშირის და „კოოპერაციის“ წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა.

ფქვილის ფასი ქუთაისის ბაზრზე გუშინ ფუთი სიმინდის ფქვილი 280—300 მანეთად ფასობდა.

ქალაქის გამგეობის დადგენილებანი. ქალაქის თვითმმართველობის გამგეობამ 25 ნოემბერს შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

ქალაქის უფასო სამკურნალოში სახვევი მასალის შესაძენად გადაიდოს 4 ათასი მანეთი.

ქალაქის დაწესებულებათა შენობებში საკვამურების გასაწმენდათ გადაიდოს 5 ათასი მან.

ქალაქის ბალის შესანახად შეტანილი იქნას ხარჯთაღრიცხვაში 30 ათასი მანეთი.

1920 წლიდან გაუქმებულ იქნას ხიდებზე ბაჟი.

ივ. ვაჩეჩილაძის ახალი წიგნი გამოვიდა და იყიდება, ქუთაისის რეალური სასწავლებლის დირექტორის ივ. ვაჩეჩილაძის მიერ შედგენილი, ახალი წიგნი „თვალსაჩინო გეომეტრია“.

შაბათს 29 ნოემბერს საღამოს 7 1/2 საათზე ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართება კონცერტი. მონაწილეობას ღებულობენ ამავე სასწავლებლის მოწაფეები.

კვირას 30 ნოემბერს დილის 11 საათზე ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში ქ. ბალახენის ქუჩა, ყოფილ სახაზინო პალატის ბინა, დანიშნულია იმავე სასწავლებლის მოწაფეთა მშობლების კრება. განსახილველია სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

მადლობის გამოცხადება ქვივი მარიამ გოგიტაძისა, უღრმეს მადლობას უძღვნის ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას, ქმრის გარდაცვალების გამო დახმარებისთვის.

თეატრი. ქალაქის თეატრში დღეს შაბათს ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება შექსპირის 5 მოქმედებიანი ტრაგედია „ოტელო“.

ხვალ 30 ნოემბერს წარმოდგენილ იქნება ქანტურიშვილის „ბურუსი“.

რკინის გზის კლუბი. დღეს რკინის გზის კლუბში წარმოდგენილ იქნება „გზა კარტოლისაკენ“.

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ამხანაგობამ „ახალი კოლხიდა“-მ ამხანაგობის დამაარსებელ გარდაცვალებულ პეტრე გოკიელის პატივისცემად დაადგინა კომერციული სასწავლებელში განათავისუფლოს სწავლის ფულიდან ორი უღარიბესი მოწაფე რისთვისაც გადასდვა ათას ორასი მანეთი გვირგვინის ნაცვლად.

თ ბ ი ლ ი ს ი.

მილიციელების სიკვდილით დასჯა. ხაშურიდან სასამართლოს წევრი ორჯონიკიძე იუსტიციის მინისტრს დეპუტატ ატყობინებს, რომ გიორგობისთვის 14 ს გაუსამართლებიათ 5 მილიციელი, რომელთაც ბრალი ედებოდათ ყაჩაღებთან იარაღის გაცვლაში. სასამართლომ ორ მათგანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ერთს 10 წ. კატორგა ხოლო ორს კი 15 წლის.

კონფერენცია. 10 დეკემბერს, შესდგება სომხეთის, საქართველოსა და აზერბეიჯანის წარმომადგენელთა კონფერენცია ფინანსური საკითხების შესახებ.

სალაგუნის რამოსხრობა.

ყუბანის დელეგაციის წევრი კალაბუხოვი, მოხალისეთა ლაშქარის სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასაჯა თანახმად შემდეგი ბრძანებისა: „ბრძანება კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდლისა 1919 წ. გიორგობისთვის 6-ს № 557. ქ. კისლოვოდსკი.

ყუბანის სახელს ქვეშ ამოფარებული მოღალატენი, რომელნიც ზოგში მოგვექცნენ, გამოეთიშნენ დედა რუსეთს. თვისი ბოროტმოქმედებით ისინი ცდილობდნენ გაეზათილებინათ ის, რაც ყუბანის შეილებმა გააკეთეს დიდი რუსეთისათვის.

ზოგი მათგანი იქამდე მივიდა, რომ ხელ შეკრულება დადგეს მთიელთა ხალხის მტრებთან, რომლის ძალითაც მტრის ხელში გადადის ყუბანის უმცროსი მოძმე — თერგის ოლქი. ამით ისინი ცდილობდნენ დაარღვიონ ფრონტი, ჩამოაგდონ შუღლი, გაართულონ ატამანის მუშაობა და მთავრობის მეცადინეობა. მოღალატენი ხელს უწყობდნენ რუსეთის დაუძინებელ მტრებს.

როგორც არმიის სარდალი, მე ვალდებული ვარ ვიხსნა ლაშქარი და რღვევისაგან. ჩემი ბრძანების სისრულეში მოსაყვანად, — რომელიც გავეცი მე გენ. პოკროვსკის მიმართ, — 10 მოღალატე დატუსაღებულია და გადაცემულია სამხედრო საველე

სასამართლოში: კალაბუხოვი, მაკარენკო, მანჯულა ომელჩენკა, ბალაბასი, ვოროპინოვი ფესკოვი, როგავეცი, ეუვი და პოდტოპოელი.

და ახსოვდეთ ეს სახელები იმათ ვინც იფიქრებს მოღალატეთა გზით სიარულს.

გენ. ვრანგელი. განაჩენი.

1919 წ. გიორგობისთვის 6-ს ქალაქ ეკატერინოდარი.

სამხედრო საველე სასამართლომ განიხილა საქმე ყაზახის, ალექსანდრე კალაბუხოვისა, და იცნო რა ის დამნაშავედ იმაში, რომ ამა წლის თებათვეში ყუბანის დელეგაციის სხვა წევრებთან, ბიჩთან, სავიკთან, ნაშიტოვოვთან ერთად ერთის მხრით, მეჯლის მთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან, ჩერმოვთან, რაზდაროვისთან, ხემაზგოვიზთან და ბამატოვთან ერთად მეორე მხრით მან (ალ. კალაბუხოვმა) ხელი მოაწერა ისეთს ხელშეკრულებას, რომელიც ყუბანის ოლქს აშორებდა რუსეთის სახელმწიფოდან. ამ ხელშეკრულების ძალით ყუბანის სამხედრო ნაწილები ეძლეოდა მეჯლისს; ამით ჩადენილიყო დანაშაული სისხლის სამართლის კანონების მე-100 მუხლში აღნიშნული, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა დახრჩობით.

ეს განაჩენი დასამტკიცებლად წარედგინება კავკასიის არმიის ნაწილის მთავარ-სარდალს.

ხელს აწერს სასამართლო, პოკროვსკის რეზოლიუცია.

კავკასიის არმიის სარაიონო ნაწილის სარდალი პოკროვსკიმ სასამართლოს განაჩენს ასეთი რეზოლიუცია გაუკეთა: „სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენს ვამტკიცებ და ვადასტურებ“. გენერალ ლეიტენანტ პოკროვსკი. განაჩენი მყისვე სისრულეში იქნა მოყვანილი. კალაბუხოვი ჩამოახრჩეს.

ნაკვთები. XI.

ერიდეთ ცეცხლს!

საიდუმლოების გასაღები, რომ ყველას ხელთ ეპყროს ბევრი კურიოზი ამოყოფდა ხოლმე თავს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ტერატორიიდან, ანუ ქვესკნელიდან.

მაგრამ ცოდვილი მიწის გასაღები მიწადმოქმედების მეუფეს — ხომერის აქვს მიმბული წელზე.

და ატარებს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, იალბუზისა და ყაზბეგის მწვერვალებიდან დიდი ჰაიასტანის საზღვრამდე.

როგორც მკოდნენი და სწავლულნი ამტკიცებენ, ხომერის არ უნდა ჰქონდეს ის გასაღები, როგორც უანკარო სოციალისტს, მაგრამ ერთის მხრით თითებმა და მეორე მხრით ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკრეტებმა მოიმოქმედა ყველა ესენი.

და იმ თითებს და დეკრეტებს უნდა ვუმაღლოდეთ ცოდვილ ქვესკნელიდან მხოლოდ დრო გამოშვებით, რომ ამყოფეს თავს საოცრება.

განგებამ, რომ საქმე სხვანაირათ მოეწყო, რომ ბედი მწეოდა და ის საიდუმლოების გასაღები ხელთ ჩამ-

ვარდნოდა, — დღემდის ყოველივე ბოროტება ამოიწურებოდა და მიწა ჩვენი მზიური ქვეყნის ცოდვილი განიკურნებოდა.

მაგრამ... გიგლიოთეკა ღმერთი არ მწყალობს, რადგანაც ძველი აღთქმის გადმოცემით ჩამომაშავლობა ჩემი შეჩვენებულ არს მეუფისაგან.

ეს ასეა, მაგრამ ამოდენა წინასიტყვაობისათვის მეშინია რედაქტორმა არ გადმოავლინოს რისხვა თავსა ჩემსა ზედა.

მინდა ერთი სურათი ავწერო: — სურათი ფოტოგრაფიული კი არა.

არა. ქვესკნელი რომ ცოდვებით აივსოს, მის შემდეგ რაც ხომერისა საიდუმლოების გასაღები ხელთ ჩაიგდო, იტანჯება დედა მიწა და ხან და ხანს მშობიერობის პროცესსაც განიცდის.

და მშობიერება მაშინ ხდება, როცა მიწის ძვრაა.

ასეთი მიწის ძვრა ამას წინათ ქ. კიათურაში ასრულდა.

ეს ამბავი არც „ერთობის“ არც „სახალხო საქმის“ კორესპონდენტებს და არც საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს უცნობებია საზოგადოებისათვის.

არ ვიცი რა მოსაზრებით.

მაგრამ ორში ერთია: — ან პოლიტიკური, ან ტაქტიკური...

საღებავის ფერები ამ ეამად ძვირად ფასობს, მაგრამ მაინც დავიწყეთ: —

ზემო იმერეთის, ზემო ნაწილის დედა ქალაქ კიათურაში სცხოვრობდა ერთი მოქალაქე.

მოქალაქე იგი თავისი მოქმედებით უწყინარი იყო საერთაშორისო დემოკრატიისათვის.

ეწეოდა მეურნეობას და სცხოვრობდა მყუდროთ, როგორც ადრეცის გმირი ონიფრე ფიქრობდა.

ამ უწყინარ მოქალაქეს სხვა ქონების გარდა ებადა ერთი ხის სახლი ბაღნარით.

კიათურის ქალაქის თვითმმართველობას მოეწონა იგი ბაღი, მაგრამ გულს უღრმინდა ულაზათო სახლი.

ერთ მშვენიერ დღეს თანახმად დეკრეტისა გამგეობამ უბრძანა უწყინარ მოქალაქეს: — ოცდა ოთხი საათის განმავლობაში გადაიტანე სახლი შენი, რამე თუ საუცხოვოთ გაშენებული ბაღი ქალაქს მოსწონ.

უწყინარი მოქალაქე ევედრებოდა გამგეობას მოთხოვნილება თვისი უკუუგდო, მაგრამ ვანრისხდა დიდი მოურავი კიათურისა.

უწყინარი დარწმუნდა თავის უძლურებაში.

მოიხმო ხუროთ მოძღვრები და შესთხოვა რომ სახლი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანათ.

ხუროთ-მოძღვრებმა 50 ათასი მოსთხოვეს.

სახლი კი 10 ათასი ლარდა.

უწყინარი მოქალაქე დაღონდა. ადგა, მოურავთან მივიდა და სთხოვა: დიდი მოურავო! გვედრები მუხლმოდრეკით, მიიღეთ სახლიც ჩემი, როგორც ბაღი, რამე თუ გადატანა

ღღიური.

პეტლიურას მდგომარეობა კატასტროფულია. დასავლეთ უკრაინის რესპუბლიკამ ფაქტიურად შესწყვიტა თავის არსებობა. ნარვის მიმართულებით ბოლშევიკები შეტევას განაგრძობენ. კიევის რაიონში დიდი ბრძოლებია, მოხალისენი შეტევაზე გადავიდნენ. ცარიცინის რაიონში დიდი ბრძოლებია. ბოლშევიკები წინ მოიწვევენ. ვორონეჟის სამხრეთით ქ. ბობროვი ააღეს. შეიღმანი ქ. კასხილის თავად აირჩიეს.

* * *

ნესტარი: სიძვირის მიზეზი.
კაინი: ნაკვთები.

ვლისთვის ხუთი დიდი გეჰი დაუნიშნავს.

„მაგრამ საქმეს ჩვენი მოუწყობელობა გადაეღობა წინ. სამი კვირა, გემი დგას და ჩვენმა მთავრობამ საქონელი ვერ ჩაიბარა იმისდა მიუხედავად, რომ დღე ღამე გემის გაჩერებაში ოთხასი ათასი მ.ნეთი ჯარიმა ხდება“.

გემის პატრონი იხვეწება: გემი დასცალეთ და მოლაპარაკება შემდეგ გაემართოთ. მაგრამ გემის დაცლა არ მოხერხდა.

კორესპონდენტი ერთში არ არის მართალი. გემი ხომ ტყვილა არ მოგვცემს აქონელს, მაგიერი ხომ უნდა გაიტანოს რამე!

გემი, რომელიც 300,000 ფუტს იტევს, ცალიერი ხომ არ გაბრუნდება!

ვთქვათ, სამასი ათასი ფუთი „შავი ქვა“ მოგვთხოვა ამდენი ტვირთვის გემში ჩაყრას ფოთის მუშათა ამქარი (100 კაცი) ხომ ერთს წელიწადს მოუწოდება! გემი კი ორ კვირისაქარ მოიცდის.

აი სად მარხია სიძვირის მიზეზი.

ღიალ! ვიდრე ფოთში იმდენი მუშა არ გვეყოლება, რომელიც ოკეანეს დიდი გემების დატვირთვის შესძლებს, სიძვირეს ბოლო არ მოელება!

ახისა და ორასიმუთი ევროპასთან საეჭრო დამოკიდებულების დაქერა, — შეუძლებელია!

მაშ მთავრობამ უპირველესად შრომის საქმე ფოთში უნდა მოაწყოს ჯეროვანად.

ღიალ! ვიდრე ეს საქმე მოუწყობელი იქნება, ჩვენი ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობა სულ უარესი და უარესი შეიქნება.

ნესტარი.

პრესა.

დენიკინისა და ყუბანის შორის მომხდარ კონფლიქტზედ გაზ. „ივერია“ შემდეგს სწერს:

„ღღეს დღეობით აშკარაა, რომ ამ კონფლიქტს შეიძლება ისტორიული და გადამწყვეტი როლი ერგოს რუსეთის ცხოვრებაში.

როგორც დეპუტები გადმოგვცემენ დენიკინის გენერალს ვრანგელს ეკატერინოლარში დაუტყვევებია ყუბანის რადის წარმომადგენელი: კოლომუხოვი, მაკარენკო, ომელჩენკო და სხვები, თანაც სამხედრო საველე სასამართლოსთვის გადაუცია — სასამართლოს სა-

ქმე გაურჩევია და კოლომუხოვისთვის სიკვდილით დასჯა გადაწყვეტია. განაჩენი დაუმტკიცებია გენერალ პუკოვსკის და 20 ნომერს სისრულეში მოუყვანიათ კიდეც.

ამ აქტიდან აშკარად ჩანს, რომ მოხალისეთა არმიისა და ყუბანის შორის კონფლიქტმა კრიზისს მიაღწია; ახლა შეჩერება არ შეიძლება.

როგორც ვიცით ყუბანი იყო პირველი ადგილი საიდანაც დაიწყო მოხალისეთა არმიის შეკრება, პირველად ეკატერინოლარში მიიღო გენერალი ალექსეიევი და მის განკარგულებაში მისცა ყუბანმა თავისი ჯარი.

აქედან დაიწყო მოხალისეთა არმიის წარმატება — ყუბანის რადა დარწმუნებული იყო, რომ მოხალისეთა არმია აღადგენდა რუსეთს დემოკრატიულ საფუძველზე. და ამისთვის ყოველ საშუალებით უჭერდა მხარს მოხალისეებს; მაგრამ თანდათან ძველმა გენერლებმა გამოაჩინეს თავიანთი დამპყრობელი ინსტიტუტები — ისინი მხოლოდ ცარიზმის რესტავრაციის იმედით ცხოვრობდნენ და როგორც კი ფრონტზე ცოტათი გაიმარჯვეს აშკარათ შეუდგნენ თავიანთ გემის განხორციელებას.

ასეთ გულ-ახდილმა პოლიტიკამ გამოიწვია აჯანყებანი, დენიკინის წინააღმდეგ. ჯერ კიევიში შემდეგ სხვა ქალაქებში და ბოლოს ეს აჯანყება მისწვდა, მოხალისეთა სათავეს და მის ზურგს ყუბანს.

ყუბანის რადის კიდეც სჯერა, რომ შეიძლება დემოკრატიული რუსეთის აღდგენა — ამისთვის იბრძვის მისი დელეგაცია პარიზში — ბიჩის მეთაურობით — მხოლოდ ამ იდეის შატარებელთ გენერალი ვრანგელი სიკვდილით სჯის ეკატერინოლარში.

რასაკვირველია გენერალი ვრანგელი ვერ გაუბედავდა ყუბანის დელეგატებს ასეთ მოპყრობას, რომ აქ ადგილი არ ჰქონდეს ერთ პირობას:

ყუბანის ჯარი იბრძვის დენიკინის ლაშქარში, ყუბანის რადამ თვითონ მისცა მტერს ეს იარაღი. კონფლიქტის გადაწყვეტაში მნიშვნელობა ექნება, თუ ვისკენ იქნება ეს ჯარი. თუ ყუბანის რადა ვერ იპოვის გამოძახილს თავისივე ჯარში, გენერალი ვრანგელი კიდეც სხვა ყუბანის დე-

ლეგატსაც ჩამოახრობს, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს საქმე ერთი აშკარაა: დენიკინის პოლიტიკური პრესტიჟი დაეცა და მოხალისეთა არმია უკვე გაიბზარა.

უცხოეთი

ახეზაიჯანი
იტალიის ბანკი ბაქოში.

ამ ხანებში ბაქოში დაარსებულ იტალიის ვადამხურდავებლომა ბანკმა, თავისი განყოფილება გახსნათბილისში და ბათუმში. ბანკი ემსახურება იტალიისა და კავკასიის შორის მჭიდრო ეკონომიურ კავშირის საბზოს.

ქართულ ეროვნულ საბჭოში

ქართულ ეროვნულ საბჭომ უკვე დაიწყო ენერგიული მუშაობა სკოლის საქმეებში. საამისოდ კიდეც მიჰპარტეს ადგილობრივ მცხოვრებლებს ბავშვების სასწავლებელში მიბარების შესახებ.

რუსეთი

რამდენ ხანს გასტანს ბოლშევიკური მთავრობა?

ფინეთში მყოფ მაქსიმ გორკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის დიკტატურა სამ თვეზე მეტს ვერ გასტანს. ლენინმა ყოველგვარი ნდობა დაჰკარგა ხალხში.

იტალია

იტალიის პალატაში.

იტალიის პალატაში აპირებენ შემარცხნენ პარტიების ბლოკის შექმნას 77 რადიკალისგან, 22 სოციალისტისგან, და 15 რესპუბლიკანი-საგან ბისოლიტის ლიდრობით.

ნიტონის გადადგომა.

იტალიის სავარგო საქმეთა მინისტრი ნიტონი გადადგა. მის ადგილას მალოია დაინიშნა.

ოსმალეთი

ეროვნული მოძრაობა ოსმალეთში. გაზ. „ურუი დე დება“ სწერს შემდეგს:

„ოსმალეთის დაყოფის მუქარამ ანატოლიაში ეროვნული მოძრაობა გამოიწვია.

თურქები უფულონი არ არიან ბრძოლის გასაწყვეად. „იტტიპატს“ პარტიას გადასახადები გაუწერია. მუსტაფა ჯემალს რეგულიარული ჯარები შეუდგენია. რაც შეეხება ეროვნულ ძალებს, ეს ძალები შესდგებიან მუსტაფა ჯემალის კაცები-საგან რიკხულათ 50,000 მდე, როგორც თვით მუსტაფამ გადმოგვცა ჩვენ, მისი მხედრები ეომებიან იზმირის ასპარეზზე ბერძნებს, და ბათონის მხარეს და სომხეთშიაც 50-60,000 ქურთები მზად არიან იბრძოლონ. მათ მოწოდებაც კი გამოსცეს მოხალისეთა მოსაგროვებლად. ამისთანავე მათ დიდძალი იარაღი აქვთ დეტოვებული გერმანელებისაგან. და ამ ეროვნულ მოძრაობას გარედანაც აქეზებენ. ბერლინში არსებულ ერთ კომიტეტს კავშირი აქვს სტამბოლთან და ანატოლიასთან. გერმანელებს იმედი აქვთ რომ ისევ დაუბრუნდებიან ოსმალეთს. თუ მის სათავეში ახალგაზდა თურქები ჩადგებიან.

დიარბექირის ასაღებად.

სტამბოლის ვაზეთების სიტყვით სა-

ფრანგეთი ჰგზავნის 10,000 ჯარისკაცს ქ. დიარბექირის დასაქვრად. თანახმად 1916 წლის კონვენტიკრულობისა.

იაპონია

იაპონია და ამირბარი კოლჩაკი. იაპონიის მთავრობის მთავარწმუნე ნებული ამირბარი კატო, კოლჩაკის ბანაკში მივიდა მოსალაპარაკებლად.

ამერიკა

ნიუორკის შტატის მთავრობის უკანასკნელ არჩევნებში, რესპუბლიკანელებმა დიდი უმრავლესობით გაიმარჯვეს დემოკრატიულ პარტიებზე.

ბელგია

მსოფლიო სატახტო ქალაქი.

„ხალხთა ლიგის“ რეზიდენცია ენევიდან ბრიუსელში გამოაქვთ. რეზიდენცია მოთავსდება ჰერცოგ არენბერგის მამულში. სატახტო ქალაქი აშენებული იქნება საერთაშორისო სტილზე, რომლის გეგმაც ამერიკულ ხუროთმოძღვრებს ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდათ შედგენილი.

გერმანია

ვილჰელმ II-ს ჰსურს გერმანიაში იცხოვროს.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ პრინცმა ჰენრიხ ჰოგენცოლლენმა შუამდგომლობა აღძრა პრეზიდენტ ებერტის წინაშე, რათა ნება დაჰართონ ვილჰელმ მე-II-ს გერმანიის ტერიტორიაზე იცხოვროს პრეზიდენტის პასუხი ჯერ არ ვუწყით.

პოლონეთი

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ყველა სადაო საკითხები პოლონეთსა და ბოჰემიას შორის ახლა მშვიდობიანი გზით სწყდება. ჩეხო-სლოვაკთა მთავრობამ გამოსთქვა სურვილი გადასცეს პოლონეთს მქოდის სამუნიციონო ქარხნები. ეს კი მნიშნავს ჩეხო-სლოვაკიის სურვილს, რომ ყველა გაუგებრობანი გადაწყდეს დიპლომატიური გზით. („ურუნ. დ'ორიანი“.)

უკანასკნელი სმოგები

აგევის დაპატიმრება. გაზ. „კუმ. ზემ“. ცნობით ნოვოჩერკასკში შეიპყრეს, ჯარების ატამანის გენ. ბოგავესკის ბრძანებით, დონის კრუმის წვერი, პავლე აგევი, იმ წერილის გამო, რომელიც მან მოათავსა გაზ. „ვოლხი კუმანში“.

მოხალისეთა სარდლობისა და პოლონეთს შორის შეთანხმება მოხდა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ შეთანხმების ძალით მოხალისეთა ჯარის მარცხენა ფრთა შეუერთდება პოლონელების ჯარების მარჯვენა ნაწილს. ჟიტომირსა და კოროსტენს შუა დაიწყება შეერთებულ ძალებით ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

შეფილდში ლლოიდ ჯორჯმა სთქვა რომ დღემდე 4 მილიონი ჯარისკაცის დემობილიზაცია უკვე მოხდაო. 92 1/2 ჯარისკაცს მიეცა სამუ-

მისი ხუთჯერ მეტი მიჯდება ვინმე თვითონ ღირს.

— შეუძლებელია. დაუყვირა მოურავმა. უწყინარი მოქალაქე გზას გაუდგა. ბევრი იფიქრა, ბევრი რჩევა გამოითხოვა და ბოლოს საშუალებაც გამოიგონა.

ერთს უმთვარო ღამეში მან ჩამოიარა მეზობლები და ყველა გააფრთხილა: —

— გრიდეთ ცეცხლს!.. თვითონ კი თავის სახლს გადაასხა წყლი და ცეცხლი წაუქიდა.

სახლი დაიფრთხილა. ეზო ბალით ქიათურის ქალაქის თვითმართველობას დარჩა.

უწყინარი მოქალაქე კი გადარჩა ზედმეტ ხარჯებს.

და ეხლა ეძებს მყუდრო ოჯახს ვით ონოფრე, რომ თავი შეაფაროს. არავინ იცის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დღეს გამოინახება მყუდრო ოჯახი თუ არა, მაგრამ დანამდილებით ამბობენ, რომ, ბევრი მოქალაქე ფიქრობს თავის ქონებას ცეცხლი წაუქიდა, რომ ზედმეტი ხარჯებიდან თავი დაახსროს.

კაინი.

საქონლის უაპოზიდვა.

ფოთიდან გვწერენ: 22 ნოემბერს ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა ინგლისის გემი „კოსმოსი“. ეს პირველი შემთხვევა არის, რომ უცხოეთის ოკეანის გემი ჩვენს ნავთსადგურში შემოდის. ეს გემი 300,000 ფუთის ტვირთს იტევს და ეკუთვნის ინგლისის ერთს დიდს საზოგადოებას, რომელსაც განუზრახავს საქართველოსთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის წარმოება და ამისთვის ხუთი თვისი გემი სპეციალურად საქართველოსა და ინგლის შორის რეისებისთვის დაუნიშნავეთ პირველი გემი უკვე გავიდა ფოთში საქონლით დატვირთული. გემს მოუტანია 300 400 მილიონი მანეთის ყოველ გვარი საქონელი. თოფი ჩითი, ბიანი მიტკალი, მაუდები იაფა შეკერილი ტანსამოსი, როგორც ვაჟთათვის ისე ქალებისა და ბავშვებისთვის, ფეხსაცმელი ყოველნაირი, იაფი ტილოები და საზოგადოთ ყოველნაირი მანუფაქტურა, გემზე მრავლად ყოფილა აგრეთვე ყოველნაირი სასოფლო მეურნეობის საიარაღი, სადურგლო, საზეინკალო და სხ. ინსტრუმენტები, ტყავეულობა და სხვ.

როგორც გადმოგვცემენ „კოსმოსის“ საზოგადოებას მოლაპარაკება ჰქონდა ჩვენს დელეგაციასთან ევროპაში და დელეგაციის რამოდენიმე წევრი სპეციალურად გამგზავრებულია ინგლისში ამ სავაჭრო საზოგადოების წარმოებათა გასაცნობად. იქ ისინი გაეცნობიან ამ საზოგადოების სამრეწველო საქმეებს. ჩვენს დელეგაციას წინასწარი ხელშეკრულობაც დაუდევს ამ საზოგადოებასთან.

როგორც გავიგეთ, სეროიზულად დაწყებული საქმე აქ უკვე ვეღარ

ჰპოულობს სეროიზულს მოპყრობას. კოსმოსის წარმომადგენლები თურმე სამი კვირის განმავლობაში აწარმოებენ მოლაპარაკებას მთავრობასთან შესახებ შემოტანილი საქონლისა მერამ დღემდე გარკვეულ პასუხს ვერღებულობდენ. წინადადება მიუციათ-საქონელი გადმოცვალეთ და პირობებზე მერე ვილაპარაკებთო. გემის გაჩერება დღე ღამეში თურმე 400,000 მან. ჯდება. ეს საქონელს აძვირებს, თუ კოსმოსის პირობები მიუღებელია, მომარაგების სამინისტრომ უნდა უარყოს ის, ან თვით წარუდგინოს თავისი გარკვეული წინადადება როგორც წარმოდგენის უნდა იქნენ ჩვენს შესახებ უცხოელები, თუ ასეთი უთაბოლო და არა საქმიანი მოპყრობა ნახეს ჩვენში. რამდენად საზარალოა პოლიტიკურად და ეკონომიურად ასეთი მოქცევა? ნუთუ ესეც ვერ შეუგნიათ!

იტალია და საქართველო.

კონსტანტინოპოლიდან ფოთში ჩამოვიდა გემი „ანატოლი ფერო“, რომელმაც ჩამოიტანა 280 მილიონი მანეთის ღირებულის მასალა. საქონელი ეკუთვნის იტალიურ ფირმას აიგანდოს და მარშანს, წამოღებულია გენუიდან და ეკუთვნის საქართველოს მთავრობას.

ბრძოლა ანარქიასთან.

(ოფიციალი)

თბილისი. გიორგობისთვის 27. გიორგობისთვის 10-იდან 25-მდე გორის მაზრის გვარდიისა და ჯარის ნაწილების საგანგებო სასამართლოს დაწყებული დანებრეტეს შემდეგი პირები: 1) მეჯვრისხევის ამბოხების მეთაური სამხედრო კომუნისტურ სარაიონო შტაბის თავმჯდომარე გეორგი მის. შახნაზარიანი; 2) კავკასიის კომუნისტების შტაბის ინსტრუქტორი, ოსეთის სოფლებში აჯანყების მომწყობი და ხცისის საზ. ბაში და რბევის მეთაური თერგის ოლქის სოფ. კარაგანის მცხოვრები ზნაურ ზაქ. ჰაიდაროვი; 3) ხცისის შეიარაღებულ კომუნისტთა რაზმის მეთაური ს. ჯაგანიონთარის (ქარელის რაიონი.) მცხოვრები ბესარიონ გიორგის ძე თიბილაშვილი; 4) ს. ახალქალაქზე დამცემი და ერობისა და კომისარიატის დამრბევი ს. ხოვლეს შეიარაღებულ ბანდის მეთაური შაქრო ბაქოას ძე მეცხვარიშვილი; 5) არტემ იოსების ძე ხუცოშვილი „ბოლშევიკ გიორგის ბიჭი“-ს სახელწოდებით. ახალქალაქში გამოსვლის ხელმძღვანელი. 6) ს. ხოვლეს მცხოვრები სანდრო ზაქ. გალუსტოვი, ამისთვისვე; 7) იაკობ იოს. ზარაფიანი. ს. მეჯვრისხევის შეიარაღებულ გამოსვლისათვის და კომუნისტთა სამხედრო სარევილიუციო შტაბის მოწყობისათვის. 8) ს. თელეთის მცხოვრები (სურამის რაიონი) მილიციონერი ეფრემ დავითის ძე ჩადუნელი; არსენალომიძის თარეშთან შეერთების გამო მილიციონერი ივანე იოსების ძე კორკოტაძე; ბრალდებული ასეთივე საქმეებში.

იმერეთის არის ვაჭრობის ისტორიიდან.

პეტრე იოსების ძე გოკიელი.

საერთოთ იმერეთში და კერძოთ ქუთაისში აღებ-მიცემობა და ვაჭრობა გავრცელებულ და აღორძინებულ იქმნა სოლომონ მეფის დროს. იმერეთის ვაჭრობას დიდათ უწყობდენ ხელს ახალციხელი ქართველკათოლიკეთა ვაჭრები.

ახალციხე და მის თემის სოფლებიდან ქართველი კათოლიკეთ ვაჭრებმა მრავლათ იწყეს ქუთაისში გადმოსახლება, რომელთაც სოლომონ I მეფეც დიდს მფარველობას და ქომავობას უწყევდა.

სულ ეს გარემოება ვახდა იმის მთავარ მიზეზათ, რომ ქუთაისში, მესხელ-ჯავახელი ქართველ კათოლიკეთ ვაჭრებმა დიდის რიცხვით იწყეს აღორძინება და გავრცელება.

სწორეთ ამ დროს გეკუთვნის, იმერეთ შორის სოფ. გოკიდან გადმოსვლა ქართველ კათოლიკეთ ვაჭრების, რომელ ვაჭართა შთამომავალიც ვახდავსთ ახლათ გარდაცვალებული ქართველი კათოლიკე, პეტრე იოსების ძე გოკიელი.

პეტრეს წინაპრებმა ქუთაისში ისე გაითქვეს ვაჭრობით სახელი, რომ მთელს იმერეთში საერთოთ და კერძოთ ქუთაისში ვაჭრობით და აღებ-მიცემით ბევრი არავინ სჯობდათ.

პეტრე იოსების ძე იყო ღირსეული წევრი და საუკეთესო მოქალაქე, თავის წინაპრებისა. მისი აღებ-მიცემა ქუთაისში იყო სახელოვანი და საყურადღებო მისს სავაჭრო ასპარეზზე, იგი თავის სავაჭროში დიდის ზომიერებით და სიფრთხილით იკავდა სავაჭრო მაზანდას და მისი ასეთი საქციელი და ღირსებაც მთელს ვაჭრებში საკმარისად აღზოველებდა საქონლის გაძვირების სიფრთხილეს და ამის შესახებ ცდასა და სავაჭრო შრომასაც რომ საქონელი არ გაძვირებულყო.

ეს სიფრთხილე გაძვირების შესახებ საყურადღებოა და პატივ-საცემი ჩვენს დროში.

მისი მარტივი ცდა იყო ყოველთვის იმაზედ მიმართული, რომ რაც შეიძლება ყველგან და ყველა სავაჭროებში საქონლის სიძვირე და ამის მომატება არავისაგან ფასის გაზვიადებით არ ყოფილიყოს. განსვენებულს ყოველთვის ამის წადილი დიდათ აღარდებდა და აღონებდა, მაგრამ ერთი კაცი რას იზამდა უმარგლესობის წინაშე.

ასეთი პირები ვაჭრობის ასპარეზზე ჩვენში სანთლით საძებარია და მეტათ იშვიათი.

ამიტომაც იყო, რომ განსვენებულის სავაჭროში მოიპოვებოდა იშვიათი საქონელიც კი. ეს გარემოება იყო იმის ცხადი საბუთი, რომ რაც შეიძლება საქონლის ფასის ზომიერება კანონს გადასული არ ყოფილიყოს.

პეტრე იოსების ძე დაიბად 1871 წ. პირველ-დაწყებითი სწავლა ახალციხეში მიიღო. მერე სწავლობდა ქუთაისის სამოქალაქო სკოლაში და შემდეგ ამისა სწავლა დაამთავრა თფილისში საბუნებალტერო სწავლებელში.

ვაჭრობა დაიწყო 1887 წლებს,

ქუთაისში. დასახლდა 1891 წ. გარდაიცვალა 17 ნოემბერს, 1919 წ.

განსვენებულს ქუთაისის საზოგადოება კარგათ იცნობდა და მხელათ რომ მთელს ქუთაისში იქონის სიძვირე ვინმე, ვისაც პეტრე იოსების ძის ვაჭრობის და აღებ-მიცემობის რაიმე ძრახვა ახსოვდეს. იგი გადაიცვალა ყველასაგან პატივცემული და როგორც ქებული ადამიანი ყველა სავაჭრო საქმეებში.

ზ. კ.

კორესპონდენცია.

ქიათურა. ქიათურა ერთ დროს დაბათ ცნობილი, დღეს უკვე ქალაქია. და შეიძლება ითქვას რომ ქალაქი ბევრათ უფრო დაწინაურებული და აღებ-მიცემობით მდიდარი, ვიდრე ის ქალაქები რომლებიც რევოლუციის წინა დღეებში დაბეზარითვლებოდა. ქიათურას მდებარეობა ხელს არ უწყობს რომ ეს ქალაქი გაიზარდოს. იგი ყოველი მხრიდან გამოწყვედულია კლდეებში და გასაზრდელი ალაგი სრულიად არსად აქვს. ქიათურას არ ემჩნევა ის სიბნელე, რომლითაც არის გარემოცული სხვა მეორე ხარისხოვანი ქალაქები. ელექტრონის ძალა მთელი ქალაქისთვის სამყოფია.

ქიათურა ის ქალაქია რომელსაც მთელი ევროპა იცნობს. ქიათურის შავქვაზე ბევრს აქვს თვალები გამოხელილი, მაგრამ ჩვენსა საუბედუროთ არამც თუ სხვას ვერ ვასარგებლობთ, ჩვენც ვერ ვასარგებლობთ. რევოლუციის შემდეგ შავი ქვის მუშაობა მიძინებულია. შავი ქვა ღირებულებით ოქროს უდრის და ჩვენ იგი მიწიდან არ გამოგვაქვს, არამც თუ არ გამოგვაქვს, კრუთხეულ დროს გამოტანილიც ისე გვიყრია, რომ მიმკარებელი კაცი არ არის. დღევანდელ პირობებში მისი ადგილიდან დანძრევა და საზღვარ გარეთ გადატანა შეუძლებელი შეიქნა. ჯერ ხომ გემზე დატვირთვას უაღრესად მდიდარი სახელმწიფო ვერ შესძლებს მერე აქ ვაგონების ავსებასაც საზღაპრო ფასი აქვს. მუშა ყველას გვიყვარს, მუშა ყველას გვიკირდება, მაგრამ ყველაფერს ზომა აქვს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება, თორემ ევროპელების სასაცილო მალე გავხდებით.

შკოლებიც მრავლად არის ქიათურაში. გაიხსნა გიმნაზიები, პირველ დაწყებითი სასწავლებლები და ამან დიდათ გაანათლა გარშემოსოფლები. ვისაც საშუალება აქვს ქიათურაში ცხოვრობს. ვინც მახლობელ სოფლებშია, მაგ. კაცრიდან, რგონიდან და სხვა სოფლებიდან მოწაფეები სახლებიდან დაიან. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალაქის გამგეობას, და იხედა არც აწი მოაკლებს წყალობის ხელს ქალაქის გამგეობა ქიათურლებს.

გიგლა.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია.